
ისტორიულ-არქიტექტურული კვლევა
უშ. ჩხეიძის №18



თბილისი
იანვარი, 2017

უშ. ჩხეიძის ქუჩა დ. აღმაშენებლის, ყოფ. პლეხანოვის, ყოფ. მიხეილის პროსპექტის მიმდებარე ისტორიული უბნის ერთ-ერთი სახასიათო მონაკვეთია.

XVIII ს. ტერიტორია, რომელზედაც დღეს ყოფილი სანაპიროს ქუჩა არსებობს, ეკალ-ბარდებით იყო დაფარული. 1800წ. ქალაქის გეგმაზე განაშენიანებული იყო მხოლოდ ვორონცოვის მოედნის ნაწილი, რომელსაც სოფ. კუკია უერთდებოდა. (სოფ. კუკია დაახლოებით იქ თავდებოდა სადაც ახლა მარჯანიშვილის ქუჩა გადის.)



ამ მიწების აქტიური ათვისება, მხოლოდ 1818 წლიდან გერმანელ კოლონისტთა გადმოსახლების დროიდან იწყება. სწორედ გერმანელებმა კეთილმოაწყვეს ეს ტერიტორიები, გამოიყვანეს სარწყავი არხი და გააშენეს ბაღები და ბოსტნები. გერმანელები გახდნენ თბილისის ბაზრებში ხილისა და ბოსტნეულის მთავარი მომწოდებლები. განსაკუთრებით აქტიურად გაშენდა მიხეილის პროსპექტი ვერის ხიდის (ახ. გ. ტაბიძის ხიდის) აგების შემდგომ. 1860-იანი წლებისთვის ეს ტერიტორია ჯერ კიდევ აქტიურად იყო გამწვანებული გერმანელთა ბაღებით, რომელთა ფრაგმენტები შემოგვრჩა ყოფ. ფილარმონიის (გოფილექტის) ვარდების (გორკის) არტოს და სხვა ბაღების სახით.

არქიტექტურული განაშენიანებიდან მიხეილის პროსპექტზე და მიმდებარედ აღსანიშნავია არქ. ალ. ზალცმანის კათოლიკური ეკლესია, სასტუმრო "ვეტცელი" – არქ. ბილფელდი, კინოთეატრი "აპოლო", მარჯანიშვილის სახ. თეატრი ყოფილი "სახალხო სახლი" რეალური სასწავლებელი - უშ. ჩხეიძის ქუჩაზე და სხვა ძალზედ მნიშვნელოვანი არქიტექტურული ძეგლები, რომელთა უმეტესობა თბილისში მოღვაწე სახელგანთქმული არქიტექტორების ნახელავია.


საზოგადოებრივი დანიშნულების ნაგებობებთან ერთად მიხეილის პროსპექტის სამხრეთი მხარე XIXს. შუა წლებიდან სამხედრო დანიშნულების ობიექტებს ეკავა: არტილერისტების, დივიზიონსა და მესანგრეთა საჯინიბოებს – ვაგზლის მოედანთან, იუნკერთა და კადეტთა სასწავლებლებს ყოფილი დიდიმთავრის (ახ. დ. უზნაძის) და კერძოდ მიხეილის პროსპექტზე.



XIX ს-ის 60-იანი წლებიდან საგრძნობი გახდა ხიდების უკმარისობა მტკვარზე, რაც გამოწვეული იყო ქალაქის ზრდით, მრეწველობის და ვაჭრობის განვითარებით, რკინიგზის მშენებლობით, ახალი უბნების აღმოცენებით მდინარის ზედა დინებაზე. არსებული რამდენიმე ხიდი კი საკმაოდ დიდი მანძილით იყო დაცილებული ერთმანეთისგან. 1885 წელს


გაიხსნა ახალი ვერის ხიდი (ძველი ვერის ხიდი, ახლანდელი გმირთა მოედანის ადგილზე მდებარეობდა), რომელიც წარმოადგენდა ქვის ბურჯებზე გადებულ ლითონის ფერმებზე მოწყობილ ფიცარფენილს. იგი დააპროექტა ქალაქის არქიტექტორმა, ინჟინერმა უმანსკიმ ვერის ხიდის მნიშვნელობა განსაკუთრებით გაიზარდა მას მერე, რაც ახალი ქუჩა – ვერის (აწინდელი მ. ჯავახიშვილის) დაღმართი გაიჭრა. ამით უახლოესი კავშირი დამყარდა გოლოვინის პროსპექტს, ვერის ვრცელ უბანსა და მარჯვენა ნაპიროს უბნებს და რკინიგზის სადგურს შორის. ვერის ხიდი, რომლის სიგანე 10 მეტრს არ აღემატებოდა, ვეღარ აკმაყოფილებდა თანამედროვე მოთხოვნებს და 1951 წელს დაიწყეს ახალი სამმალიანი ელბაქიძის ხიდის მშენებლობა (ახლა გალაქტიონის), რომელიც 1952 წლის დეკემბერში დამთავრდა (ინჟ. გ. ჩომახიძე, არქ. მ. მელია).

უშ. ჩხეიძის ქუჩის კენტი განაშენიანება თითქმის მთლიანად ისტორიულ-არქიტექტურული ღირებულებისაა, რაც კარგად ჩანს თბილისის უძრავი ძეგლების ისტორიულ-კულტურულ საყრდენ გეგმაზე.



უშ. ჩხეიძის №№25-19 ნაგებობები ძეგლების სტატუსს ატარებს და განაშენიანების ეს რიგი განსაკუთრებით ღირებულია მტკვრის მარჯვენა სანაპიროს ისტორიული ღირებულების შენარჩუნებისთვის. ამასთან საარქივო ფოტოზე, რომელიც XX საუკუნის 10-იან წლებს განეკუთვნება, ჩანს, რომ უშ. ჩხეიძის №21 ჯერ კიდევ ორსართულიანი აგურის ნაგებობაა. XX საუკუნის I





ნახევარში სახლს დაემატა ერთი სართული და ახლა ის სამსართულიანია. უშ. ჩხეიძის №21 აგურითაა ნაგები და აგურის წყობით მის ფასადზე დეკორატიული ელემენტებია გამოყოფილი. ასევე ძეგლის სტატუსი იცავს საკვლევი ტერიტორიის წინ მდებარე ორსართულიან შენობებს უშ. ჩხეიძის №13 და №15-ში, რომელშიაც საბავშვო ბაღია განთავსებული.





ძეგლის სტატუსი აქვს მინიჭებული უშ. ჩხეიძის №8, ყოფილი თბილისის რეალური სასწავლებლის შენობას (არქ. მიხ. ნეპრინცევი), რომლის არქიტექტურა განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია ამ მიკროუბნის განაშენიანებისათვის.

უშ. ჩხეიძის ქუჩაზე უკანასკნელ პერიოდში რამოდენიმე ახალი მოცულობაც გაჩნდა, რომელიც ძირითადად ხუთი სართულის სიმაღლის არის. ამთგან სანაპიროსკენ მიმართული მოცულობები შედარებით ნაკლებად აღიქმება ისტორიული განაშენიანების კონტექსტში, სამაგიეროდ, ზედმეტად აქტიური ჩანს მშენებარე სამედიცინო საავადმყოფოს მონუმენტური კორპუსი.





უშ. ჩხეიძის ქ. №18 ერთსართულიანი მოცულობაა, რომელსაც თაღოვანი სარკმლების მოხაზულობაზე ეტყობა, რომ ის XX ს-ის პირველ ნახევრამდე უნდა იყოს აგებული, თუმცა, ისტორიული მემკვიდრეობის ღირებულება ამ ნაგებობას უდავოდ დაკარგული აქვს. სანაპიროს მხრიდან შენობა კიდევ მეტად არის შელახული და ცემენტით გალესილი კედლების მიღმა ძნელად ამოსაცნობია თავდაპირველი ხის შუშაბანდების მოტივი.




შენობის უშუალო სიახლოვეში ორსართულიანი სადა, უსახური უშ. ჩხეიძის №16 მოდებარეობს, ხოლო ქუჩის გაყოლებაზე ხუთსართულიანი კორპუსი №14 აგურის ტორეცით არის მიმართული ამ განაშენიანებისკენ.

საკვლევი ობიექტის მოპირდაპირედ ზემოთ ხსენებული საავადმყოფოს კორპუსის მშენებლობა მიმდინარეობს, რომელიც თავისი მოცულობითი სტრუქტურით და მასშტაბით მნიშვნელოვნად არღვევს უშ. ჩხეიძის ისტორიული ქუჩის ინტიმურობას.





კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ხედი, რომელზედაც უშ. ჩხეიძის ქუჩის განაშენიანება შორ ხედებზე აღიქმება, არის ხედი მარჯვენა სანაპიროდან, რომლიდანაც არსებული მონაკვეთი თანდათანობით იცვლის სახეს, შესაბამისად, მეტად მნიშვნელოვანია ამ ურბანული კონტექსტის გათვალისწინება მომავალი ახალმშენებლობისათვის.



რეკომენდაციები

უშ. ჩხეიძის ქ. №18 ერთსართულიანი, დეგრადირებული ნაგებობის ნაცვლად ახალი შენობის დაპროექტება სავსებით შესაძლებელია, ამასთან გასათვალისწინებელია უშ. ჩხეიძის ისტორიული ქუჩის განაშენიანების ხასიათი და მასზე ბოლო დროს აშენებული საცხოვრებელი კორპუსების მასშტაბი, შესაბამისად:

- უშ. ჩხეიძის ქუჩის მხრიდან ახალი მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს მის მიმდებარედ, უშ. ჩხეიძის ქუჩის №20-ში არსებული, ახლად აშენებული ნაგებობების სიმაღლეს, უშ. ჩხეიძის ქუჩის მხრიდან;
- არსებული მიწის ნაკვეთის ათვისება შესაძლებელია სანაპიროსკენ მზარდი სართულიანობით, როგორც მიმდებარე კორპუსების შემთხვევაში მოხდა;
- მიუხედავად იმისა, რომ უშუალოდ ამ მიწის ნაკვეთის მიღმა ქუჩაზე არ მდებარეობს არცერთი ისტორიული ძეგლი, მაინც მნიშვნელოვანია, რომ ახალ მოცულობას და არსებულ განაშენიანებას (კორპუსებს) შორის დარჩეს სივრცითი პაუზები, რადგანაც უშ. ჩხეიძის ქუჩის პანორამული ხედი მთლიანად არ დაიფაროს;
- ახალი ნაგებობის იერსახე შესაძლებელია იყოს როგორც თანამედროვე მიმართების, ასევე პოსტმოდერნული ხასიათისაც, რადგანაც მის ორივე მხარეს ზედმეტად ხისტი თანამედროვე არქიტექტურა მდებარეობს და ვფიქრობ, რამდენადმე უფრო „ხასიათიანი“ ფასადი შეავსებდა ამ დეფიციტს;
- უშ. ჩხეიძის ქუჩის განაშენიანების ხასიათიდან გამომდინარე, არ გამოვრიცხავ ფასადის გადაწყვეტას აგურის მოპირკეთებით, ასევე საინტერესოა ქუჩის კიდეში მდებარე ყოფილი რეალური სასწავლების მოდერნის პერიოდის ფასადების გააზრებაც, რომლებშიაც თანაბარზომიერად არის ნახმარი აგურისფერი ნალესი ფაქტურა და ნაცრისფერი ქვით მოპირკეთების ჩანართები.

ხელოვნებათმცოდნე
ლალი ანდრონიკაშვილი